

შპს „ტკბილი ქვეყანა“

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## წინასწარი ფინანსური ანგარიშგება

|                                              |   |
|----------------------------------------------|---|
| სრული შემოსავლის წინასწარი ანგარიშგება       | 3 |
| წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 4 |
| კაპიტალში ცვლილების წინასწარი ანგარიშგება    | 5 |
| ფულადი ნაკადების წინასწარი ანგარიშგება       | 6 |

## წინასწარი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                              |    |
|------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. შესავალი                                                                  | 7  |
| 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები         | 7  |
| 3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები        | 20 |
| 4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები | 20 |
| 5. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება         | 23 |
| 6. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები                                      | 24 |
| 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი                                           | 24 |
| 8. შრომის ანაზღაურების ხარჯი                                                 | 24 |
| 9. ძირითადი საშუალებები                                                      | 25 |
| 10. მარაგები                                                                 | 25 |
| 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                               | 26 |
| 12. ფული და ფულის ეკვივალენტები                                              | 26 |
| 13. სესხები                                                                  | 26 |
| 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                            | 27 |
| 15. ფინანსური რისკის მართვა                                                  | 27 |
| 16. დაკავშირებული მხარეები                                                   | 29 |
| 17. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები                                 | 30 |
| 18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები                                | 30 |

შპს „ტკბილი ქვეყანა“

სრული შემოსავლის წინასწარი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

|                                       | შენიშვნა | 2018             |
|---------------------------------------|----------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან              | 5        | 20,750,222       |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 5        | (13,556,404)     |
| <b>საერთო მოგება</b>                  |          | <b>7,193,818</b> |
| მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები  | 6        | (2,865,144)      |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები     | 7        | (1,081,439)      |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი             | 8        | (513,987)        |
| საოპერაციო ხარჯები                    |          | (22,395)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>              |          | <b>2,710,853</b> |
| სხვა შემოსავალი                       |          | 11,390           |
| ფინანსური ხარჯი                       |          | (92,817)         |
| სხვა ხარჯები                          |          | (162,800)        |
| საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი        |          | 5,155            |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>             |          | <b>2,471,781</b> |
| მოგების გადასახადი                    |          | -                |
| <b>წმინდა მოგება</b>                  |          | <b>2,471,781</b> |
| სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)        |          | -                |
| <b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>  |          | <b>2,471,781</b> |

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

სრული შემოსავლის წინასწარი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

|                                       | შენიშვნა | 2018             |
|---------------------------------------|----------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან              | 5        | 20,750,222       |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 5        | (13,556,404)     |
| <b>საერთო მოგება</b>                  |          | <b>7,193,818</b> |
| მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები  | 6        | (2,865,144)      |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები     | 7        | (1,081,439)      |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი             | 8        | (513,987)        |
| საოპერაციო ხარჯები                    |          | (22,395)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>              |          | <b>2,710,853</b> |
| სხვა შემოსავალი                       |          | 11,390           |
| ფინანსური ხარჯი                       |          | (92,817)         |
| სხვა ხარჯები                          |          | (162,800)        |
| საკუროსო სხვაობის წმინდა შედეგი       |          | 5,155            |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>              |          | <b>2,471,781</b> |
| მოგების გადასახადი                    |          | -                |
| <b>წმინდა მოგება</b>                  |          | <b>2,471,781</b> |
| სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)        |          | -                |
| <b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>  |          | <b>2,471,781</b> |

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართული ლარი)

|                                                          | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი 2018   |
|----------------------------------------------------------|----------|----------------------|------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                             |          |                      |                  |
| ძირითადი საშუალებები                                     | 9        | 6,989,477            | 3,625,261        |
| არამატერიალური აქტივები                                  |          | 72,762               | 19,157           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                         |          | <b>7,062,239</b>     | <b>3,644,418</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                             |          |                      |                  |
| მარაგები                                                 | 10       | 1,868,425            | 1,787,158        |
| აქტივის დაბრუნების უფლება                                |          | 31,042               | 31,042           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                               | 11       | 1,528,165            | 1,119,339        |
| წინასწარ გადახდები                                       |          | 255,168              | 968,123          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                              | 12       | 831,448              | 1,384,556        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                         |          | <b>4,514,248</b>     | <b>5,290,218</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                      |          | <b>11,576,487</b>    | <b>8,934,636</b> |
| <b>კაპიტალი</b>                                          |          |                      |                  |
| საწესდებო კაპიტალი                                       |          | 200                  | 200              |
| გაუნაწილებელი მოგება                                     |          | 9,895,420            | 7,423,639        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                      |          | <b>9,895,620</b>     | <b>7,423,839</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                        |          |                      |                  |
| სესხები                                                  | 13       | 1,123,539            | 867,419          |
| ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება |          | 47,611               | 47,611           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                            | 14       | 338,063              | 425,304          |
| საგადასახადო ვალდებულებები                               |          | 171,654              | 170,463          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                    |          | <b>1,680,867</b>     | <b>1,510,797</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                 |          | <b>1,680,867</b>     | <b>1,510,797</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>                     |          | <b>11,576,487</b>    | <b>8,934,636</b> |

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართული ლარი)

|                                                          | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 1 იანვარი 2018   |
|----------------------------------------------------------|----------|----------------------|------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                             |          |                      |                  |
| ძირითადი საშუალებები                                     | 9        | 6,989,477            | 3,625,261        |
| არამატერიალური აქტივები                                  |          | 72,762               | 19,157           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                         |          | <b>7,062,239</b>     | <b>3,644,418</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                             |          |                      |                  |
| მარაგები                                                 | 10       | 1,868,425            | 1,787,158        |
| აქტივის დაბრუნების უფლება                                |          | 31,042               | 31,042           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                               | 11       | 1,528,165            | 1,119,339        |
| წინასწარ გადახდები                                       |          | 255,168              | 968,123          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                              | 12       | 831,448              | 1,384,556        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                         |          | <b>4,514,248</b>     | <b>5,290,218</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                      |          | <b>11,576,487</b>    | <b>8,934,636</b> |
| <b>კაპიტალი</b>                                          |          |                      |                  |
| საწესდებო კაპიტალი                                       |          | 200                  | 200              |
| გაუნაწილებელი მოგება                                     |          | 9,895,420            | 7,423,639        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                      |          | <b>9,895,620</b>     | <b>7,423,839</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                        |          |                      |                  |
| სესხები                                                  | 13       | 1,123,539            | 867,419          |
| ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება |          | 47,611               | 47,611           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                            | 14       | 338,063              | 425,304          |
| საგადასახადო ვალდებულებები                               |          | 171,654              | 170,463          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                    |          | <b>1,680,867</b>     | <b>1,510,797</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                 |          | <b>1,680,867</b>     | <b>1,510,797</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>                     |          | <b>11,576,487</b>    | <b>8,934,636</b> |

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

კაპიტალში ცვლილების წინასწარი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

|                       | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ       |
|-----------------------|-----------------------|-------------------------|-----------|
| 1 იანვარი 2018        | 200                   | 7,423,639               | 7,423,839 |
| წლის სრული შემოსავალი | -                     | 2,471,781               | 2,471,781 |
| 31 დეკემბერი 2018     | 200                   | 9,895,420               | 9,895,620 |

ხელმომწერი პირები:

---

დირექტორი

---

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

კაპიტალში ცვლილების წინასწარი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

|                       | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ       |
|-----------------------|-----------------------|-------------------------|-----------|
| 1 იანვარი 2018        | 200                   | 7,423,639               | 7,423,839 |
| წლის სრული შემოსავალი | -                     | 2,471,781               | 2,471,781 |
| 31 დეკემბერი 2018     | 200                   | 9,895,420               | 9,895,620 |

ხელმომწერი პირები:

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფულადი ნაკადების წინასწარი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

|                                                                       | შენიშვნა | 2018               |
|-----------------------------------------------------------------------|----------|--------------------|
| <i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>                       |          |                    |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფული                                       |          | 23,945,056         |
| მომწოდებელთათვის გადახდილი ფული                                       |          | (14,767,460)       |
| თანამშრომელთათვის გადახდილი ფული                                      |          | (3,543,385)        |
| გადახდილი გადასახადები                                                |          | (2,798,556)        |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები                |          | (74,839)           |
| <b>საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b> |          | <b>2,760,816</b>   |
| <i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>                     |          |                    |
| გრძელვადიანი აქტივების შესყიდვები                                     | 9        | (3,495,819)        |
| გრძელვადიანი აქტივების გაყიდვები                                      | 9        | 12,848             |
| <b>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში</b>             |          | <b>(3,482,970)</b> |
| <i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>                        |          |                    |
| სესხის დაფარვა                                                        | 13       | (1,276,820)        |
| მიღებული სესხები                                                      | 13       | 1,515,218          |
| გადახდილი პროცენტი                                                    | 13       | (75,095)           |
| <b>საფინანსო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>  |          | <b>163,302</b>     |
| კურსთაშორის სხვაობის ეფექტი                                           |          | 5,744              |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება</b>           |          | <b>(558,852)</b>   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში                       | 12       | <b>1,384,556</b>   |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>                     | 12       | <b>831,448</b>     |

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტკბილი ქვეყანა“

ფულადი ნაკადების წინასწარი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

|                                                                       | შენიშვნა  | 2018               |
|-----------------------------------------------------------------------|-----------|--------------------|
| <i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>                       |           |                    |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფული                                       |           | 23,945,056         |
| მომწოდებელთათვის გადახდილი ფული                                       |           | (14,767,460)       |
| თანამშრომელთათვის გადახდილი ფული                                      |           | (3,543,385)        |
| გადახდილი გადასახადები                                                |           | (2,798,556)        |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები                |           | (74,839)           |
| <b>საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b> |           | <b>2,760,816</b>   |
| <i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>                     |           |                    |
| გრძელვადიანი აქტივების შესყიდვები                                     | 9         | (3,495,819)        |
| გრძელვადიანი აქტივების გაყიდვები                                      | 9         | 12,848             |
| <b>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში</b>             |           | <b>(3,482,970)</b> |
| <i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>                        |           |                    |
| სესხის დაფარვა                                                        | 13        | (1,276,820)        |
| მიღებული სესხები                                                      | 13        | 1,515,218          |
| გადახდილი პროცენტი                                                    | 13        | (75,095)           |
| <b>საფინანსო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>  |           | <b>163,302</b>     |
| კურსთაშორის სხვაობის ეფექტი                                           |           | 5,744              |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება</b>           |           | <b>(558,852)</b>   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში                       | 12        | 1,384,556          |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>                     | <b>12</b> | <b>831,448</b>     |

ხელმომწერი პირები:

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 7-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

## 1. შესავალი

### კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ტკბილი ქვეყანა“ დაფუძნდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2005 წლის 15 დეკემბერს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მდებარეობს საქართველოში და იმყოფება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს რეგულირების ქვეშ. კომპანიის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჭყონდიდელის ქუჩა N 26.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ტკბილი ქვეყნის“ მფლობელია ამირან ქორთიაშვილი (100%).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და ვაჭრობა.

ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კომპანიის დირექტორი ლია ზარიძე.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### მომზადების საფუძვლები

წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელობამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ფასს-ებზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება რაიმე მოთხოვნების შესაბამისად.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ გამოიყენა სააღრიცხვო პოლიტიკა, რის საფუძველზეც იქნება მომზადებული ფასს- ების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა იყენებს სტანდარტების და ინტერპრეტაციების საუკეთესო ცოდნას, ახალი სტანდარტები, დამატებები და ინტერპრეტაციები არ გამორიცხავს, რომ ფასს-ების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე და გამოქვეყნებამდე შესწორდეს წინასწარი ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი, შესაბამისად წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ამ თარიღის წინა შესადარისი ინფორმაცია. შესაბამისად, წინასწარი ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს ფასს-ების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

**2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

**შეფასების საფუძველი**

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც სხვაგვარად არ არის მითითებული სააღრიცხვო პოლიტიკაში.

**საანგარიშგებო პერიოდი**

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. (2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის)

**ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა**

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ვალუტა არის ყველაზე მოსახერხებელი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის და ყველაზე უკეთ ასახავს მიმდინარე პროცესებისა და გატარებების ეკონომიკურ ეფექტს კომპანიაზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                   | <b>31 დეკემბერი 2018</b> | <b>1 იანვარი 2018</b> |
|-------------------|--------------------------|-----------------------|
| 1 აშშ დოლარი/ლარი | 2.6766                   | 2.5922                |
| 1 ევრო/ლარი       | 3.0701                   | 3.1044                |

უცხოური ვალუტის საშუალო გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                   | <b>2018</b> |
|-------------------|-------------|
| 1 აშშ დოლარი/ლარი | 2.5345      |
| 1 ევრო/ლარი       | 2.9913      |

**ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება**

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული წინასწარი ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომავალი მომგებიანობისთვის გაწეული მნიშვნელოვანი ინვესტიციები და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

## **2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

კომპანია დაარსდა 2005 წლის 15 დეკემბერს თბილისში და ფუნქციონირება 2006 წლის მარტიდან დაიწყო. საწარმომ შეძლო საქართველოს ბაზარზე გამორჩეული ადგილის დამკვიდრება. ფაბრიკა, დღეისათვის, მომხმარებელს ტკბილეულის უამრავ სახეობას სთავაზობს, რომელიც გარდა მრავალფეროვნებისა, მაღალი ხარისხითა და კვებითი ღირებულებებით გამოირჩევა. “ტკბილმა ქვეყანამ” დიდი ხანია მომხმარებლისგან დამსახურებულად მოიპოვა სანდო და მაღალხარისხიანი პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის სახელი. შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში.

### **შემოსავალი**

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

### **პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები**

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

### **მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები**

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

### **ხარჯები**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

**2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

*სასარგებლო მომსახურების ვადა:*

| ძირითადი საშუალებები     | სასარგებლო ვადა(წელი) |
|--------------------------|-----------------------|
| მანქანა-დანადგარები      | 2-15                  |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 2-12                  |
| ელექტრო აღჭურვილობა      | 2-12                  |
| სატრანსპორტო საშუალებები | 2-10                  |
| სხვა                     | 2-10                  |

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

**იჯარა***ფინანსური იჯარა - კომპანია როგორც მოიჯარე*

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადმოცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარის ვადის დასაწყისისათვის ფინანსური იჯარა აღიარდება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივი და ვალდებულება საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით, რომელიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. თუ მისი დადგენა შეუძლებელია გამოყენებულია კომპანიას ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი. ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი ემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მინიმალური საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხული ფინანსური ხარჯებისა და გადაუხდელო ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ნაწილდება, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღირიცხება იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

ფინანსური იჯარა წარმოშობს ცვეთადი აქტივის ცვეთის ხარჯს, ასევე ფინანსურ ხარჯს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსურ იჯარაზე ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა შეესაბამება კომპანიის მიერ არჩეულ ცვეთის პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება კომპანიის მიერ ფლობილი აქტივებისათვის. თუ არ არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ კომპანიას გადმოეცემა აქტივი ფინანსური იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილ აქტივს ცვეთა ერიცხება ფინანსური იჯარის ვადასა და სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

### *საოპერაციო იჯარა*

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

### **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 15 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების

გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. კომპანია იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

### პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის წინასწარ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

### ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის წინასწარ ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

### ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს ბანკში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყიდად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

### სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულებები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია.

ფინანსური აქტივები რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იჭურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიღებულ სესხებად, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

### საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

### პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესმაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

### დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება სროგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ წინასწარი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

### 3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

#### ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადები

კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები, აქტივებში განვითარებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ციფრებზე.

#### საგადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, როგორც კომპანიის გარიგებები და საქმიანობა, შეიძლება არ ემთხვეოდეს ხელმძღვანელობის მოქმედებას. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება გაასაჩივრონ გარიგებები და დამატებითი გადასახადები, შეიძლება შეფასდეს ჯარიმები და პროცენტები, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მიზანშეწონილია და სავარაუდოა, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციები იქნება მდგრადი.

#### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9, ისევე როგორც IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

### 4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

#### ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან

IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის IAS 39-ს (და IFRS 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

#### 4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები (გაგრძელება)

- IFRS 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.
  - ფინანსური ვალდებულებებისათვის, IFRS 9-ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა. ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.
  - ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, IFRS 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს, კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.
  - ჰეჯირების აღრიცხვისათვის, IFRS 9 წარმოადგენს არსებით, ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არაფინანსური რისკების საფრთხეების ჰეჯირებისას.
  - დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის IAS 39-დან.
- IFRS 15 შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა), ხელმძღვანელობა მოელის, რომ IFRS 15.
  - მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას იქნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

#### 4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები (გაგრძელება)

- IFRS 2 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება (განახლება გამოცემული 2016 წლის ივნისში) - ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი გადახდა“, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენას ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთგაქვითვის პირობის მქონე წილობრივი გადახდის გარიგების კლასიფიკაციას დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრულ აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც წილობრივი გადახდის გარიგების პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის. ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადაანგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტიულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილებს სხვა კრიტერიუმებიც. ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების პოტენციურ გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- IAS 40 საინვესტიციო ქონება (განახლება გამოცემული 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ის ცვლის 57 მუხლს და აცხადებს, რომ საწარმომ უნდა დააკლასიფიციროს აქტივი, როგორც საინვესტიციო ქონება ან შეწყვიტოს აქტივის საინვესტიო ქონებად კლასიფიცირება, მხოლოდ მაშინ, როდესაც არის მტკიცებულება მოხმარების ცვლილების. ქონების მოხმარების ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც აქტივი აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების დეფინიციას. ხელმძღვანელობის მიზნის ცვლილება გამოიყენოს აქტივი სხვა დანიშნულებით არ ნიშნავს აქტივის იმის მტკიცებულებას, რომ აქტივის მოხმარების მიზანი შეცვლილია.
- ფასს 1 სტანდარტების პირველადი გამოყენება (განახლება გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან, აუქმებს მოკლევადიან გამოწვევას E3-E7 მუხლებში ფასს 1 სტანდარტს.
- ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (განახლება გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტი განმარტავს, რომ ინვესტიცია ისეთ მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში რომელიც წარმოადგენს სარისკო კაპიტალის ორგანიზაციას, ან სხვა საპაიო საწარმოს, შესაძლოა აღირცხული იყოს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალიდან, საწყისი აღიარების დროს.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები (გაგრძელება)**

- IFRS 16 იჯარა (გამოცემული 2016 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედია ყოველწლიური პერიოდისათვის 2019 წლის 1 იანვრიდან, ცვლის IAS 17 და მის განმარტებებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). იგი ადგენს ერთეული ქირავნობის აღრიცხვის მეთოდს, რომელიც მოითხოვს დამქირავებლისგან აღიაროს აქტივები და პასივები ყველა ქირავნობისათვის, გარდა ქირავნობისა, რომლის ვადა არის 12 თვე ან ნაკლები ან საბაზისო აქტივს აქვს დაბალი ღირებულება. დამქირავებლები განაგრძობენ ქირავნობის კლასიფიცირებას, როგორც ფუნქციონირებისა ან ფინანსებისა, IFRS 16-ის მიდგომა დამქირავებლის მიმართ არსებითად უცვლელია მისი წინარმობედისგან, IAS 17-სგან. ხელმძღვანელობა მოელის, რომ IFRS 16 მიღებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.
- ფასს 17 მოითხოვს სადაზღვევო კონტრაქტების შეფასებას მიმდინარე შესრულების ღირებულებით და უფრო ერთგვაროვან შეფასებას და პრეზენტაციას ყველა სადაზღვევო კონტრაქტის. ეს მოთხოვნები არის იმისთვის, რომ მიღწეული იყოს უფრო თანმიმდევრული, პრიციპებზე დამოკიდებული აღრიცხვა სადაზღვევო კონტრაქტების. IFRS 17 ჩაანაცვლებს IFRS 4-ს სადაზღვევო კონტრაქტებისთვის 2021 წლის 1 იანვრიდან.

**5. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**

კომპანიის შემოსავლები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

|                                         | 2018              |
|-----------------------------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                | 21,401,228        |
| უკან მობრუნებული საქონელი და ფასდათმობა | (651,006)         |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>     | <b>20,750,222</b> |

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

|                                                  | 2018              |
|--------------------------------------------------|-------------------|
| პირდაპირი მასალები                               | 10,377,978        |
| პირდაპირი საწარმოო პერსონალის შრომა              | 2,104,348         |
| ზედნადები ხარჯები                                | 1,074,078         |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>13,556,404</b> |

**6. მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები**

კომპანიის მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

|                                                 | 2018             |
|-------------------------------------------------|------------------|
| მარკეტინგული მომსახურების ხარჯი                 | 436,963          |
| საწვავის ხარჯი                                  | 362,366          |
| ავტომანქანის ხარჯი                              | 176,899          |
| რეკლამის ხარჯი                                  | 121,208          |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები            | 18,341           |
| ხელფასის ხარჯი                                  | 1,749,367        |
| <b>სულ მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები</b> | <b>2,865,144</b> |

**7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

|                                              | 2018             |
|----------------------------------------------|------------------|
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | 383,302          |
| იჯარის ხარჯი                                 | 392,984          |
| მომსახურების ხარჯი                           | 57,263           |
| საგადასახადო ხარჯი                           | 61,368           |
| რემონტის ხარჯი                               | 28,652           |
| სამეურნეო ხარჯი                              | 26,414           |
| საოფისე ხარჯი                                | 21,342           |
| იურიდიული მომსახურების ხარჯი                 | 20,004           |
| კომუნიკაციის ხარჯები                         | 12,247           |
| მივლინების ხარჯი                             | 12,180           |
| ბანკის ხარჯი                                 | 10,955           |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი             | 8,476            |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                 | 46,252           |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>1,081,439</b> |

**8. შრომის ანაზღაურების ხარჯი**

კომპანიის შრომის ანაზღაურების ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

|                                                | 2018           |
|------------------------------------------------|----------------|
| ადმინისტრაციის განყოფილების შრომის ანაზღაურება | 497,891        |
| სხვა სარგებელი                                 | 16,096         |
| <b>სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი</b>           | <b>513,987</b> |

შპს „ტკბილი ქვეყანა“

წინასწარი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

## 9. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

|                               | მანქანა-<br>დანადგარები | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | ელექტრო<br>აღჭურვილო<br>ბა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა             | სულ                |
|-------------------------------|-------------------------|-------------------------------|----------------------------|-----------------------------|------------------|--------------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>   |                         |                               |                            |                             |                  |                    |
| 1 იანვარი, 2018               | 4,530,255               | 378,434                       | 556,607                    | 690,327                     | 428,070          | 6,583,693          |
| ზრდა                          | 3,828,981               | 119,832                       | 169,772                    | 35,461                      | 47,112           | 4,201,158          |
| შემცირება                     | (7,627)                 | -                             | (1,475)                    | (12,968)                    | (5,759)          | (27,829)           |
| <b>31 დეკემბერი,<br/>2018</b> | <b>8,351,609</b>        | <b>498,266</b>                | <b>724,904</b>             | <b>712,820</b>              | <b>469,423</b>   | <b>10,757,022</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>        |                         |                               |                            |                             |                  |                    |
| 1 იანვარი, 2018               | (2,000,291)             | (237,721)                     | (280,321)                  | (197,125)                   | (242,974)        | (2,958,432)        |
| ცვლილება                      | (493,998)               | (105,869)                     | (91,474)                   | (70,124)                    | (70,981)         | (832,446)          |
| გასვლა                        | 7,627                   | -                             | 1,475                      | 8,350                       | 5,881            | 23,333             |
| <b>31 დეკემბერი,<br/>2018</b> | <b>(2,486,662)</b>      | <b>(343,590)</b>              | <b>(370,320)</b>           | <b>(258,899)</b>            | <b>(308,074)</b> | <b>(3,767,545)</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>   |                         |                               |                            |                             |                  |                    |
| 1 იანვარი, 2018               | 2,529,964               | 140,713                       | 276,286                    | 493,202                     | 185,096          | 3,625,261          |
| <b>31 დეკემბერი,<br/>2018</b> | <b>5,864,947</b>        | <b>154,676</b>                | <b>354,584</b>             | <b>453,921</b>              | <b>161,349</b>   | <b>6,989,477</b>   |

## 10. მარაგები

კომპანიის მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

|                           | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|---------------------------|-------------------|------------------|
| ნედლეული და მასალები      | 873,834           | 947,371          |
| შესაფუთი მასალები         | 632,178           | 566,706          |
| მზა პროდუქცია             | 241,027           | 234,272          |
| უკან დაბრუნებული საქონელი | 39,476            | 8,527            |
| საწვავი                   | 2,957             | 3,474            |
| სხვა მარაგი               | 78,953            | 26,808           |
| <b>სულ მარაგები</b>       | <b>1,868,425</b>  | <b>1,787,158</b> |

შპს „ტკბილი ქვეყანა“

წინასწარი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართული ლარი)

### 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

|                                            | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|--------------------------------------------|-------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                         | 1,993,314         | 1,584,396        |
| სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან | 14,715            | 14,807           |
| საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვი       | (479,864)         | (479,864)        |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>      | <b>1,528,165</b>  | <b>1,119,339</b> |

### 12. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

|                                        | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018   |
|----------------------------------------|-------------------|------------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში            | 666,536           | 609,991          |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში           | 152,198           | 50,563           |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში            | 12,714            | 724,002          |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>831,448</b>    | <b>1,384,556</b> |

### 13. სესხები

| სესხები               | საპროცენტო განაკვეთი | ვალუტა       | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018 |
|-----------------------|----------------------|--------------|-------------------|----------------|
| სესხი დამფუძნებლისგან | 11%                  | ქართული ლარი | 1,123,539         | 867,419        |
| <b>სულ სესხები</b>    |                      |              | <b>1,123,539</b>  | <b>867,419</b> |

2015 წელს დამფუძნებელთან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით სესხის ოდენობა შეზღუდული არ არის და პროცენტი განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

|                                            |                  |
|--------------------------------------------|------------------|
| <b>2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>867,419</b>   |
| სესხის მიღება                              | 1,515,218        |
| დარიცხული პროცენტი                         | 92,817           |
| სესხების დაფარვა                           | (1,276,820)      |
| გადახდილი პროცენტი                         | (75,095)         |
| <b>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>1,123,539</b> |

**14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

|                                          | 31 დეკემბერი 2018 | 1 იანვარი 2018 |
|------------------------------------------|-------------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 312,007           | 406,396        |
| გადასახდელი ხელფასები                    | 26,056            | 18,908         |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>338,063</b>    | <b>425,304</b> |

**15. ფინანსური რისკის მართვა**

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან ავიცილოთ საოპერაციო და იურიდიული რისკები.

**საკრედიტო რისკი**

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

**საბაზრო რისკი**

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა)უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ)საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ)ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

## 15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

## სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

| 31 დეკემბერი 2017                  | ლარი             | დოლარი         | ევრო            | სულ              |
|------------------------------------|------------------|----------------|-----------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                  |                |                 |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 660,554          | 723,864        | 138             | 1,384,556        |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>660,554</b>   | <b>723,864</b> | <b>138</b>      | <b>1,384,556</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                  |                |                 |                  |
| სესხები                            | 867,419          | -              | -               | 867,419          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | (363,548)        | (563)          | (61,193)        | (425,304)        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>503,871</b>   | <b>(563)</b>   | <b>(61,193)</b> | <b>442,115</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>1,164,425</b> | <b>723,301</b> | <b>(61,055)</b> | <b>1,826,671</b> |
| <b>გავლენა მოგება-ზარალზე</b>      |                  |                |                 |                  |
| ვალუტის კურსის 10% ზრდა            | 116,443          | 72,330         | (6,106)         | 182,667          |
| ვალუტის კურსის 10% შემცირება       | (116,443)        | (72,330)       | 6,106           | (182,667)        |

| 31 დეკემბერი 2018                  | ლარი             | დოლარი     | ევრო          | სულ              |
|------------------------------------|------------------|------------|---------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                  |            |               |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 818,734          | 784        | 11,930        | 831,448          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>818,734</b>   | <b>784</b> | <b>11,930</b> | <b>831,448</b>   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                  |            |               |                  |
| სესხები                            | 1,123,539        | -          | -             | 1,123,539        |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | (337,238)        | -          | (825)         | (338,063)        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>786,301</b>   | <b>-</b>   | <b>(825)</b>  | <b>785,476</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>1,605,035</b> | <b>784</b> | <b>11,105</b> | <b>1,616,924</b> |
| <b>გავლენა მოგება-ზარალზე</b>      |                  |            |               |                  |
| ვალუტის კურსის 10% ზრდა            | 160,504          | 78         | 1,111         | 161,692          |
| ვალუტის კურსის 10% შემცირება       | (160,504)        | (78)       | (1,111)       | (161,692)        |

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით. ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

## 15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

| 31 დეკემბერი 2018                  | < 1 წელი         | 1-დან 5 წლამდე | > 5 წელი | სულ              |
|------------------------------------|------------------|----------------|----------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                  |                |          |                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები        | 831,448          | -              | -        | 831,448          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 1,528,165        | -              | -        | 1,528,165        |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,359,613</b> | -              | -        | <b>2,359,613</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                  |                |          |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 338,063          | -              | -        | 338,063          |
| სესხები                            | 1,123,539        | -              | -        | 1,123,539        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>1,461,602</b> | -              | -        | <b>1,461,602</b> |
| <b>სხვაობა</b>                     | <b>898,011</b>   | -              | -        | <b>898,011</b>   |

| 31 დეკემბერი 2017                  | < 1 წელი         | 1-დან 5 წლამდე | > 5 წელი | სულ              |
|------------------------------------|------------------|----------------|----------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                  |                |          |                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები        | 1,384,556        | -              | -        | 1,384,556        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 1,119,339        | -              | -        | 1,119,339        |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,503,895</b> | -              | -        | <b>2,503,895</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                  |                |          |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 425,304          | -              | -        | 425,304          |
| სესხები                            | 867,419          | -              | -        | 867,419          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>1,292,723</b> | -              | -        | <b>1,292,723</b> |
| <b>სხვაობა</b>                     | <b>1,211,172</b> | -              | -        | <b>1,211,172</b> |

## 16. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (ბ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

**შპს „ტკბილი ქვეყანა“**

**წინასწარი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთებს:

|                               | <b>ურთიერთობა</b>                | <b>31 დეკემბერი 2018</b> | <b>1 იანვარი 2018</b> |
|-------------------------------|----------------------------------|--------------------------|-----------------------|
| სესხები                       | დამფუძნებელი                     | 1,123,539                | 867,419               |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული | 19,481                   | -                     |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული | 1,587                    | 1,854                 |
| <b>ჯამი</b>                   |                                  | <b>1,144,607</b>         | <b>869,273</b>        |

|                                      | <b>2018</b>    |
|--------------------------------------|----------------|
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები    | 694,657        |
| შემოსავალი რეალიზაციიდან             | 101,736        |
| ფინანსური ხარჯი                      | 92,817         |
| მარკეტინგისა და დისტრიბუციის ხარჯები | 1,271          |
| <b>ჯამი</b>                          | <b>890,481</b> |

2018 წლის 31 დეკემბრის ბოლოსათვის ხელმძღვანელობის ანაზღაურება შეადგენს 49,875 ლარს.

**17. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები**

**სასამართლო დავები** - 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

**18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2019 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გასცა დივიდენდები ჯამური ღირებულებით 562,204 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ შეიძინა ძირითადი საშუალებები ჯამური ღირებულებით 633,704 ლარი.